

შპს „უნიშენი“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

<i>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	3
<i>სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	4
<i>კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	5
<i>ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	6
<i>სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</i>	7

შპს „უნიშენი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემული ერთეულ ლარში

	Note	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	135291	150685
არამატერიალური აქტივები	7	463	545
		135754	151230
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	1227076	676262
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	4160420	754570
სხვა პირებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	-	801	88
მარაგები	10	972657	856970
		6360954	2287890
მთლიანი აქტივები		6496708	2439120
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)		5456702	2092481
		5456802	2092581
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	-	0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	504777	241914
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	65061	-
საგადასახადო ვალდებულებები	12	238559	33339
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები	13	231509	71286
		1039906	346539
		6496708	2439120

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბრის

დირექტორი :

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „უნიმშენი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემული ერთეულ ლარში

	Note	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	14	13141923	5406568
თვითღირებულება	15	-3796565	-2209432
საერთო მოგება		9345358	3197136
სხვა შემოსავლები	-	-	-
ზოდადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	-1332077	-434694
პერსონალის ხარჯი	17	-3925550	-2484974
იჯარის ხარჯი	18	-151100	-
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	19	-33885	-139300
საპროცენტო ხარჯი	20	-43169	-
საოპერაციო მოგება		3859577	138168
ფინანსური შემოსავალი	-	-	-
ფინანსური ხარჯი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-	-	-30241
მოგება დაბეგვრამდე		3859577	107927
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		3859577	107927
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		3859577	107927

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბრის

დირექტორი:

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „უნიშენი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	100	2092481	2092581
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი		3859577	3859577
გაცემული დივიდენდი		-495356	-495356
2023 წლის 31 დეკემბერი	100	5456702	5456802

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი:

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „უნიმშენი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31.12.2023	31.12.2022
მყიდველებისგან და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	12089326	7261193
სხვა შემოსულობანი არასაოპერაციო საქმიანობიდან	-	-
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-5816955	-3413346
გაცემული შრომის ანაზღაურება	-2929358	-2108730
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	-4230	-1890
ჯარიმები და საურავები ბიუჯეტში გადახდილი		
საბანკო ხარჯი	-5144	-3016
სხვა ხარჯი	-8380	-4485
საპენსიო გადასახდელები	-100043	-84276
თანამშრომლებზე გაცემული სხვა ხარჯების ანაზღაურება და ავანსები		
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-2200099	-1125511
გადახდილი მოგების გადასახადი	-74303	-22291
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები		
განსაკუთრებული მუხლებიდან შემოსულობანი / გაცემები (ნეტო)		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	950814	497648

ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	31.12.2023	31.12.2022
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციებიდან შემოსულობანი	-	-
სხვა შემოსულობანი / გაცემი საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0

ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან	31.12.2023	31.12.2022
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხის აღება		
მოკლევადიანი სესხის დაფარვა		
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები		
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების განაღდება		
გრძელვადიან სესხზე გადახდილი პროცენტები		
გადახდილი დივიდენდები	-400000	-120000
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)		
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-400000	-120000
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	550814	377648
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის	676,262	298,614
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	1,227,076	676,262

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს
 დირექტორი :

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „უნიმშენი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 437063552, საქართველოს კანონმდებლობით შეიქმნა 2014 წლის 12 ნოემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია : ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა N 25.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა გაზის ქსელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

„კომპანიის“ დირექტორი და 100% წილის მფლობელი არის გია ხმელიძე (33001012345). ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მოთხოვნით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2023 წლის 28 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიას მანამდე არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება ფინანსური აღრიცხვის სხვა რომელიმე სტანდარტების მიხედვით. რადგანაც კომპანიას არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება შესადარისი პერიოდებისათვის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების მიხედვით, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს განმარტებებს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ბუღალტრულ აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ მის გაცხადებულ ფინანსურ მდგომარეობაზე, შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ მომგებიანია, „კომპანია“ წარსულში მომგებიანი იყო და ფინანსური რესურსები მისთვის ხელმისაწვდომია. ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი :

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. „კომპანია“ წარსულში მომგებიანი იყო, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვისაც მომგებიანია.
2. 2023 წელს „კომპანია“-მ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადის სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.
3. 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალში იქნება ფუნქციონირებადი საწარმო და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ა) „კომპანიის“ მიერ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება წარდგენილი იყო იმავე სტანდარტებით. „კომპანია“ იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით, რაზე დაყრდნობითაც მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი „კომპანიისათვის“ არის 2018 წლის 1 იანვარი.

ბ) ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას.

გ) ძირითადი საშუალებები

ი. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების აღსაღრიცხავად „კომპანია“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება „კომპანია“ ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას და მისი ხარჯების აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში. ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯების სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი:

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ii ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივი დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	წელი : 3-10
სატრანსპორტო საშუალებები	წელი : 5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა (საწყობის შენობა)	წელი : 15

iii. აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლოატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

დ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული. „კომპანია“ არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

„კომპანია“ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად.

ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯების და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ვ) ფინანსური ინსტრუმენტები, ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილების მიხედვით, ფინანსური აქტივი შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები, და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდელი ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისათვის. „კომპანია“ თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისათვის, რომლითაც კომპანია გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „კომპანია“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ფულად სახსრებს და მის ექვივალენტებს.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებულ ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზირებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი შესყიდვისას დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე იმ საკომისიო გადასახდელებისა თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, „კომპანია“ აფასებ ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად ითვლება თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. „კომპანია“ ინდივიდუალურად აფასებს თითოეული თავისი ფინანსური აქტივის გაუფასურებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილების შესაბამისად კ ლასიფიცირებულია, როგორც სამარლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კალასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით „კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და სესხის მიღებ- ვალდებულებებს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბრის

დირექტორი:

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

ზ) გადასახადები

i. მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისათვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). „კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი:

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საგადასახადო ორგანოსთან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

iii. საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

თ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება ფასდება იმისდა მიხედვით, მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი:

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

5. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება.

ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

შპს „უნიმშენი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

ბალანსის ახსნა-განმარტებები

შენიშვნა : 6
ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	ავტო	ელექტრო მოწყობილ ობა	სამუშაო ინვენტარი/მ ცირეფასიანე ბი	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	სულ
საწყისი საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	0	64558	10010	93612	52151	93424	313755
შემოსვლა	0	0	0	13356	5136	0	18492
გასვლა						0	0
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	0	64558	10010	106968	57287	93424	332247
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	0	0	-8242	-81392	-36294	-37143	-163071
ცვეთა 2023 წელი	0	-3228	-681	-8603	-4248	-17125	-33885
გასვლა							0
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	0	-3228	-8923	-89995	-40542	-54268	-196956
ნარჩენი ღირებულება							
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	0	64558	1768	12220	15857	56281	150684
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	0	61330	1087	16973	16745	39156	135291

შენიშვნა : 7
არამატერიალური აქტივები

	პროგრამა FMG	
31 დეკემბერი 2021 (წმ, საბალანსო ღირებულება)	545	545
შემოსვლა	0	0
გადაფასება	0	0
გასვლა	0	0
პერიოდის ცვეთა	-82	-82
31 დეკემბერი 2023 (წმ, საბალანსო ღირებულება)	463	463

შენიშვნა : 8
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ნაღდი ფული სალაროში	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,227,076
სულ	1227076

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს
დირექტორი :

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „უნიმშენი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

შენიშვნა : 9

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	4160420
გადახდილი ავანსები	801
საექვო მოთხოვნების კორექტირება	0
სულ	4161221

შენიშვნა : 10

მარაგები

ნედლეული და მასალები	972657
სულ	972657

შენიშვნა : 11

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	504777
მიღებული ავანსები	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	65,061
სულ	569838

შენიშვნა : 12

საგადასახადო ვალდებულებები

საშემოსავლო გადასახადები	92108
დღგ	142420
მოგების გადასახადი	0
ქონების გადასახადი	4,031
სულ	238559

შენიშვნა : 13

შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები	231509
სულ	231509

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი :

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „უნიშენი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა : 14

ამონაგები

საქონლის გაყიდვა	18188
მომსახურების გაწევა	13,118,375
სხვა შემოსავალი	5,360
სულ	13141923

შენიშვნა : 15

თვითღირებულება

გაყიდული/შემძენილი საქონელი	-3796565
სასაქონლო მატერიალური მარაგების კორექტირება	0
მიბრუნებული საქონლის თვითღირებულება	0
სულ	-3796565

შენიშვნა : 16

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

ელ.ენერგიის დანახარჯი	3705
მილსადენების რეაბილიტაცია/გაქარვის მომსახურებები	346953
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	29262
საკონსულტაციო ხარჯი	1118
სპეც.ტექნიკის ხარჯი	718250
სატრანსპორტო გადაზიდვები	31557
სამსახურეობრივი ტრანსპორტის ხარჯი	27751
კომუნიკაციის ხარჯი	6950
კომპიუტერის ხარჯი	8138
საპენსიო დანარიცხები	66258
საოფისე ხარჯი	24060
საბანკო ხარჯი	5144
საკანცელარიო ხარჯი	9322
ბუნებრივი აირის დანახარჯი	8221
ოფისის დაცვის ხარჯი	4780
სამივლინებო ხარჯი	4230
ქონების გადასახადი	1430
სხვა ხარჯი	18887
არასამეწარმეო ხარჯი	12225
არამატერიალური აქტივის ცვეთა	82
დაზღვევა	3752
სულ	1332077

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი :

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „უნიშენი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა : 17
პერსონალის დანახარჯი

შრომის ანაზღაურება	-3925550
სულ	-3925550

შენიშვნა : 18
იჯარა

საიჯარო ქირა	-151100
სულ	-151100

შენიშვნა : 19
ცვეთა/ამორტიზაცია

ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-33885
სულ	-33885

შენიშვნა : 20
საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი (ფაქტორინგი)	-43169
სულ	-43169

6. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს
 დირექტორი :

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია